*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2017 წელი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩის გაგრძელების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, დიდ ლილოში გაგრძელდეს რაჭის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



X:491,250.227
Y:4,618,020.190
X:491,335.069
Y:4,617,933.049
რაჭის ქუჩა
X:491,394.619
Y:4,617,803.602
N
1:2,00

02/983

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი

10-04.17 წ

№06/4610
10.04.17 წ

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011720974536217

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

05 / აპრილი / 2017 წ.

# 114944

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 30 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს NM17005369 განცხადებით მომართა მოქალაქე ლიზა ციცარიას (პ/ნ: 12001045404), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო (საკადასტრო კოდით N81.08.28.839).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N81.08.28.839) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი — დ. მახათაძე — დიმიტრი მახათაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
№ 06/4610
"10" აპრილი 2017 წ.
ფურცლების რაოდენობა 2 ფურცელი
0105 ... თავისუფლების მოედანი №2

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

# სიტუაციური ნახაზი
## ქალაქი თბილისი
## უსახელო ქუჩა

N

განცხადების ნომერი N M17005369

მომზადების თარიღი 05.04.2017




მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი — უსახელო ქუჩა